

ქ.თბილისი

2018 წლის 8 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 8 მარტს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 4 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ლაშა თავართქილაძე, ვახტანგ სამხარაძე, ედუარდ ნაჭყებია.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის ფ. გაბაძის ოქმი და მთავარი მსაჯის ა. პოლოსიანის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 4 მარტს, ჭაბუკთა „ა“ ლიგის მატჩზე, გორის „ჯიქი“-სა და თბილისის „ხვამლი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. გორის „ჯიქი“-ს მორაგბე გიორგი მაისურაძე - კონფლიქტის პროვოცირება.
2. თბილისის „ხვამლი“-ს მორაგბე ბაჩო ბოხოძე - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7, 2.2.8, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი # 1 -ის 2.7, 2.8. პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. გორის „ჯიქი“-ს მორაგბე გ. მაისურაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.
2. თბილისის „ხვამლი“-ს მორაგბე ბ. ბოხოძე დისკვალიფიცირებული იქნას 4(ოთხი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200(ორასი) ლარით.
3. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.8 პუნქტი და კლუბ თბილისის „ხვამლს“ ჭაბუკთა „ა“ ლიგაში დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/